

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 30 აპრილის  
№ 108 ბრძანებით



სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი  
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი

თბილისი

2026 წ

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი ; Mechanical Engineering

Technician

2. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის შემუშავებულია პროგრამა: მექანიკა და ლითონის დამუშავება/ Mechanics and Metal Trades

3. სარეგისტრაციო ნომერი: 07314-პ

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მექანიკაში / Higher Vocational Qualification in Mechanics

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მექანიკა და ლითონის დამუშავება“, კოდი - 0715, აღმწერი - „შეისწავლის მანქანების, მექანიკური საწარმოებისა და სისტემების, ასევე ლითონის პროდუქციის დაგეგმვას, პროექტირებას, განვითარებას, წარმოებას, ფუნქციონირებასა და მონიტორინგს. ის მოიცავს პროდუქციის წარმოებისა და მომსახურებისთვის განკუთვნილი მანქანა - დანადგარების პროექტირებასა და ფუნქციონირებას. ეს დეტალური სფერო ფოკუსირებულია მანქანებზე/მოწყობილობებზე, მექანიკურ სისტემებსა და ლითონის პროდუქციაზე“.

5. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც მექანიკისა და ლითონის დამუშავების სფეროსთვის. წინამდებარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსების მომზადებას, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ტექნიკური სისტემის - მანქანის, მექანიკური მოწყობილობის და მექანიზმების დაპროექტებაში, დამზადებაში, მომსახურებაში, სერვისსა და რემონტში.

6. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

სრული ზოგადი განათლება.

## 7. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

მექანიკაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი შესაძლებელია დასაქმდეს მანქანათმშენებლობის საწარმოებში, აგრეთვე ისეთი დარგების საწარმოებში როგორცაა: კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, ტრანსპორტი, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება გადამამუშავება, სოფლის მეურნეობა და სხვა დარგებში, რომელთა საწარმოო პროცესებში გამოყენებულია მანქანა - დანადგარები. აგრეთვე, მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსს გააჩნია სამანქანათმშენებლო მიმართულებით თვითდასაქმების შესაძლებლობა.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 25.62.0; 25.73; 25.9; 25.94.0; 25.99.0; 28.1; 28.11; 28.22; 28.24; 33.1
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7222. 7223; 7224.

## 8. სტრუქტურა და მოდულები მექანიკაში

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მოიცავს 3 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის რაოდენობით, 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 91 კრედიტის რაოდენობით, 3 სავალდებულო არჩევით მოდულს, შეირევა ჯამური 18 კრედიტი. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს **120 კრედიტი**.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკის“ და „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულებს. გაცნობითი პრაქტიკის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს დასაქმების შესაძლებლობების ორგანიზაციული მოწყობის, პოზიციების და შრომითი ურთიერთობების შესახებ. საწარმოო პრაქტიკა განსაზღვრავს ინტეგრირებული დავალების ტიპს, რომლის შესრულებისას პროფესიული სტუდენტი სპეციალიზაციისთვის საჭირო უნარებს დაადასტურებს.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტი

პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 25 თვე <sup>1</sup>

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 150 კრედიტი

პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 30 თვე

| უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მექანიკაში |                                                                |           |
|---------------------------------------------|----------------------------------------------------------------|-----------|
| ქართული ენის მოდულები                       |                                                                |           |
| 01.                                         | ქართული ენა A2                                                 | 15        |
| 02.                                         | ქართული ენა B1                                                 | 15        |
| ჯამი:                                       |                                                                | 30        |
| ზოგადი მოდულები                             |                                                                |           |
| №                                           | მოდულის დასახელება                                             | კრედიტი   |
| 1.                                          | ინფორმაციული წიგნიერება 2                                      | 3         |
| 2.                                          | მეწარმეობა 3                                                   | 3         |
| 3.                                          | უცხოური ენა                                                    | 5         |
| ჯამი:                                       |                                                                | 11        |
| პროფესიული მოდულები                         |                                                                | კრედიტები |
| 4.                                          | გაცნობითი პრაქტიკა - მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი            | 2         |
| 5.                                          | საწარმოო პრაქტიკა - მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი             | 14        |
| 6.                                          | საკონსტრუქტორო ხაზვა მექანიკაში                                | 6         |
| 7.                                          | მასალათმცოდნეობის საფუძვლები                                   | 3         |
| 8.                                          | ზოგადი ელექტროტექნიკა                                          | 3         |
| 9.                                          | პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირების საფუძვლები | 3         |

<sup>1</sup> პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო კვირების მიხედვით. თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი დგინდება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, 2 კვირა საშობაო, 1 კვირა სააღდგომო და არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული უქმეების გათვალისწინებით.

|                   |                                                    |         |
|-------------------|----------------------------------------------------|---------|
| 10.               | მეტროლოგიის საუბვლები                              | 3       |
| 11.               | ჰიდრო და პნევმო ამძრავების საფუძვლები              | 3       |
| 12.               | დეტალების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები        | 12      |
| 13.               | კვანძის აწყობა                                     | 5       |
| 14.               | ტექნიკური სისტემის მომსახურება, რემონტი და სერვისი | 12      |
| 15.               | ნაკეთის საერთო აწყობა - ექსპლოატაციაში შეყვანა     | 12      |
| 16.               | ტექნიკური სისტემის დაგეგმვა - რეალიზაცია           | 3       |
| 17.               | სამუშაოს დაგეგმვა მექანიკურ წარმოებაში             | 5       |
| 18.               | საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCAD             | 5       |
| ჯამი:             |                                                    | 91      |
| არჩევითი მოდულები |                                                    |         |
| №                 | მოდულის დასახელება                                 | კრედიტი |
| 19.               | მექანიკური წარმოება                                | 7       |
| 20.               | ხარისხის უზრუნველყოფა მექანიკურ წარმოებაში         | 5       |
| 21.               | საწარმოო კონტროლი მექანიკურ წარმოებაში             | 6       |
| ჯამი:             |                                                    | 18      |
|                   |                                                    |         |

## 9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაამზადოს დეტალები ხელით მართვადი იარაღებით და ლითონსაჭრელი ჩარხებით;
2. განახორციელოს კვანძის აწყობა;
3. განახორციელოს ნაკეთის აწყობა და ექსპლუატაციაში გაშვება;
4. უზრუნველყოს ტექნიკური სისტემის მომსახურება, რემონტი და სერვისი;

5. განახორციელოს ტექნიკური სისტემის დაგეგმვა - რეალიზაცია;
6. დაგეგმოს მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის შესასრულებელი სამუშაოები.

## 10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

### მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

## **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

## **11. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

## **12. პეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

## **13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის მექანიკა და ლითონის დამუშავება/ Mechanics and Metal Trades (სარეგისტრაციო ნომერი - 07314-პ) საფუძველზე.

**14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი:**

პროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბაზაზე.

**პროგრამას თან ერთვის დანართები:**

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი);
- ✓ ადაპტირებული მოდულები;
- ✓ სასწავლო გეგმები (ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე);
- ✓ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;
- ✓ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი.

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები



ნია ნათბილაძე

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის  
ხარისხის მართვის მენეჯერი



შოთა მარგიშვილი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი



მანანა მოისწრაფიშვილი